„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების მუშაობისა და ადვოკატირების შედეგები სამეგრელოში 2021 წელს

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს” ზუგდიდის ოფისთან არსებული სამოქალაქო საბჭოს წევრებმა 2021 წელს ზუგდიდში, ხობში, წალენჯიხასა და ჩხოროწყუში 81 პრობლემა/საჭიროება გამოავლინეს. საბჭოების მიერ წარდგენილი პრობლემების აღწერილობებთან ერთად, მუნიციპალიტეტებს 12 განცხადებით მივმართეთ, რომელთაც ხელს 408 მოქალაქე აწერს.

სამოქალაქო საბჭოები „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს” ინიციატივით შექმნილი მოქალაქეთა არაფორმალური გაერთიანებებია, რომელთა მიზანია უშუალოდ ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობითა და ჩვენი ორგანიზაციის შუამდგომლობით მოგვარდეს მუნიციპალიტეტებში არსებული პრობლემები.

ზუგდიდის საკრებულომ განიხილა და დააკმაყოფილა ჩვენი საბჭოს წევრების მიერ მომზადებული პეტიცია 600-ზე მეტი ამომრჩევლის ხელმოწერით. პეტიციით სოფელ ინგირში ბარათაშვილისა და მიმდებარე ქუჩების, სოფელ კახათში კი ეწერის დასახლებაში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა გვქონდა მოთხოვნილი. ინგირში სამშენებლო სამუშაოები დაწყებულია, კახათში კი იგეგმება ახლო მომავალში.

ასევე, ჩვენი სამოქალაქო საბჭოს წევრის მიერ მომზადებულმა პროექტმა მოიპოვა დაფინანსება „ზუგდიდის სამოქალაქო ბიუჯეტიდან” - პროექტი ლაზის ქუჩაზე ყოფილი საბავშვო ბაღის ამორტიზებული შენობის დემონტაჟს, ტერიტორიის მოწესრიგებას, გამწვანებასა და ბავშვთა გასართობი, ასევე მოსასვენებელი სივრცის მოწყობას ითვალისწინებს. სამუშაოები 2022 წელს განხორციელდება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” ზუგდიდის ოფისისა და სამოქალაქო საბჭოების წევრების მუშაობა-ადვოკატირების შედეგად, ხობში, ზუგდიდსა და წალენჯიხაში 2021 წელს განხორციელდა 10 პროექტი, მიმდინარეობს და 2022 წელს დასრულდება 11 პროექტი, წინა წლების მიმართვებიდან 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 5 პროექტის დასრულება.

ხობში

- სოფელ პირველ ხორგაში დამონტაჟდა გარე განათების სისტემის დამატებითი ბოძები, ამავე სოფელში მირცხულავას ქუჩაზე განთავსდა დამატებითი ნაგავშემკრები კონტეინერები;
- ყულევში, ახალი უბნის დასახლებაში გზის რეაბილიტაციაა დაგეგმილი 2022 წლის ბიუჯეტით;
- სოფელ ქარიატაში, მდინარე ხობისწყალზე არსებული საცალფეხო ხიდის რეაბილიტაცია დაწყებულია და დასრულდება უახლოეს მომავალში;
- სოფელ შუა ხორგაში, სანადარაიოს უბანში დაწყებულია გზის საფარის რეაბილიტაცია, დასრულდება 2022 წელს;
- სოფელ საჯიჯაოში დაწყებულია საჯიჯაო-ჯაპიშაქარი-ზუგდიდის დამაკავშირებელიო გზის რეაბილიტაცია, დასრულდება 2022 წელს.

წალენჯიხაში

- სოფელ ნაკიფუში დაიწყო წყალმომარაგების სისტემის გამართვა, პროექტი სრულად დასრულდება 2022 წელს;

ზუგდიდში

- კოსტავას ქუჩაზე (თიბისი ბანკიდან მდინარე ჩხოუშიას ხიდამდე არსებული მონაკვეთი) დაიგო ასფალტის საფარი;
- ჯანაშიას ქუჩაზე აღდგა ბავშვთა სათამაშო მოედანი;
- ასფალტი დაიგო ლაღიძის ქუჩაზე არსებულ დევნილთა დასახლებამდე მისასვლელი გზის ორ მონაკვეთზე;
- შეკეთდა ცოტნე დადიანის ქუჩაზე არსებული საფეხბურთო მოედანი;
- ასფალტის საფარი დაიგო ხერგიანის ქუჩაზე;
- ნაგავშემკრები კონტეინერები დაემატა სოფელ დარჩელში;
- ლერმონტოვის ქუჩაზე დამონტაჟდა სიჩქარის შემზღუდავი ბარიერი;
- ზუგდიდში, გამსახურდიას ქუჩაზე შეკეთდა წყალმომარაგების დაზიანებული მაგისტრალი;
- ანაკლიაში, დგებუაძის ქუჩაზე დაწყებულია გზის საფარის რეაბილიტაცია, დასრულAდება 2022 წელს;
- ჯუმი-ახალსოფელის დამაკავშირებელი გზის მოასფალტების I და II ეტაპის სამუშაოები დასრულებულია;
- ალერტკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, საკანკიოს უბანში მიმდინარეობს წყალმომარაგების I ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები. მეორე ეტაპის სამუშაოებზე გამოცხადებულია ტენდერი;
- დასრულებულია ერგეტა-ცვანეს დამაკავშირებელი გზის მშენებლობა, 2022 წელს გაგრძელდება გზის მოასფალტება შავ ზღვამდე;
- მიმდინარეობს ერგეტა-ბუი-დიდიგვიმარას დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. პროექტი შესყიდულია მრავალწლიანი (2021-2022) შესყიდვის წესით;
- სოფელ ნარაზენში, საკალანდიოს უბანში დაწყებულია გზის რეაბილიტაცია, დასრულდება 2022 წელს;
- დაწყებულია წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა ინგირში, დასრულდება 2022 წელს;
- სამეგრელოს ქუჩაზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები დამონტაჟდება 2022 წელს;
- ახალკახათი-ოქტომბერის დამაკავშირებელ გზაზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები დამონტაჟდება 2022 წელს;
- სოფელ კორცხელში კულტურის სახლის ავარიული შენობის დემონტაჟი მოხდება 2022 წელს;
- ლაზის ქუჩაზე ბავშვთა სათამაშო მოედანი მოეწყობა 2022 წელს.

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების აღვოკატირების შედეგად

ხობში, სოფელ საჯიჯაოში

დაწყებულია საჯიჯაო-ჯაპიშაქარი-ზუგდიდის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, დასრულდება 2022 წელს

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების ადვოკატირების შედეგად

ზუგდიდში, პოსტავას ქუჩაზე
(თიბისი ბანკიდან მდინარე ჩხოუშიას ხიდამდე არსებული მონაკვეთი)

დაიგო ასფალტის საფარი

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების ადვოკატირების შედეგად

ზუგდიდში, ღალიძის ქუჩაზე ასფალტი დაიგო დევნილთა დასახლებამდე მისასვლელ გზის ორ მონაკვეთზე



“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების ადვოკატირების შედეგად

ზუგდიდში, ხერგიანის ქუჩაზე ასფალტის საფარი დაიგო

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების ადვოკატირების შედეგად

ზუგდიდში, ლერმონტოვის ქუჩაზე
დამონტაჟდა სიჩქარის შემზღუდავი ბარიერი

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების ადვოკატირების შედეგად

ერგეტა-ცვანეს დამაკავშირებელი გზა

მშენებლობა დასრულებულია, 2022 წელს გაგრძელდება გზის მოასფალტება შავ ზღვამდე